ვიშრომოთ ყოვლისმომცველ ქრისტეზე, რომელიც ნაჩვენებია კეთილი მიწის წინასახეში, ეკლესიის როგორც ქრისტეს სხეულის ასაშენებლად, სამეფოს სინამდვილისა და გამოვლინებისათვის და იმისთვის, რომ პატარძალმა მოიმზადოს თავისი თავი უფლის მოსვლისათვის

ძირითადი საკითხები

იმისათვის, რომ გავიგოთ, რას ნიშნავს ისრაელიანების შესვლა ქანაანში
და ომი ქანაანში, ჩვენ უნდა ვიცოდეთ,
რომ ქანაანს აქვს ორმაგი მნიშვნელობა წინასახეების სისტემაში:
დადებითი მხრივ, ქანაანი, სიმდიდრის მიწა, არის წინასახე
ყოვლისმომცველი ქრისტესი მისი აურაცხელი სიმდიდრით;
უარყოფითი მხრივ, ქანაანი აღნიშნავს ჰაერის ნაწილს,
ზეციურ ნაწილს, სატანის ბნელი სამეფოსი, ზეციურ საზღვრებს,
რომლებიც სავსეა სატანური ძალებით.

იმისათვის, რომ მთლიანად მოვიპოვოთ ქრისტე როგორც კეთილი მიწა,
ჩვენ უნდა გავფრთხილდეთ, რომ არ გვქონდეს ურწმუნოების ბოროტი გული;
ჩვენ უნდა ვავარჯიშოთ ჩვენი რწმენის სული და შევინარჩუნოთ ჩვენი გული
მიბრუნებული უფლისკენ იმ მიზნით, რომ მთელი გულით გვწამდეს
მისი დაპირება, გვწამდეს, რომ ის იმყოფება თავის ადამიანებთან,
და გვწამდეს, რომ ჩვენ მთლიანად შეგვიძლია გავიმარჯვოთ.

ისრაელის ხალხი გვერდზე დებდა გარკვეულ ხვედრს
თავისი ნაყოფებისა, რომელიც მიიღო შრომის შედეგად
კეთილ მიწაზე, იმ მიზნით, რომ თაყვანი ეცათ ღმერთისათვის;
თუ ჩვენ ერთგულად ვიშრომებთ ყოვლისმომცველ ქრისტეზე,
ჩვენ გვექნება სიმდიდრე ქრისტესი როგორც ნაყოფები,
რომლებსაც ჩვენ შევძლებთ გამოვავლინოთ ეკლესიაში,
და ჩვენ გვექნება ქრისტეს სიჭარბე,
რომლის მიტანასაც ჩვენ შევძლებთ ეკლესიის კრებებზე
ღმერთის ერთობლივი თაყვანისცემისათვის სულში და ჭეშმარიტობაში.

ღმერთის ცოცხალმა სიტყვამ უნდა შემოაღწიოს ჩვენს არსებაში
და თავი დაგვაღწევინოს ჩვენ ჩვენი დაბნეული გონებისა და მოხეტიალე სამშვინლისგან,
შეგვიყვანოს ჩვენ ქრისტეში როგორც შაბათის სიმშვიდეში ჩვენს სულში;
ჩვენ არ უნდა ვიყოთ ისინი, ვინც მერყეობს თავის სამშვინველში ხეტიალისას;
პირიქით, ჩვენ უნდა უარვყოთ სამშვინველი და წავიდეთ წინ,
ჩვენს სულში, რათა ვეზიაროთ ზეციურ ქრისტეს და დავტკბეთ მისით,
რაც ნებას მოგვცემს ჩვენ, მონაწილეობა მივიღოთ სამეფოს მოსვენებაში,
მის მეფობაში ათასწლეულში.

შეტყობინება პირველი

ვიბრძოლოთ კეთილი მიწისთვის

ადგილები წერილიდან: იესო. ნ. 1:2-6, 13; ეფეს. 2:2; 6:12; კოლ. 1:12-13

I. თუ ჩვენ ყურადღებით წავიკითხავთ წერილებს, ჩვენ დავინახავთ, რომ მიმდინარეობს ბრძოლა კეთილი მიწისათვის – იესო ნ. 1:2-6, 13:

ა. სატანა, ღმერთის მტერი, აკეთებს ყველაფერს, რაც მას შეუძლია, რათა ხელი შეუშალოს ღმერთის ადამიანებს, რომ ისინი დაეუფლონ ქრისტეს როგორც კეთილ მიწას და დატკბნენ ასეთი ქრისტეთი – ეფეს. 2:2; 6:12.

ბ. ყველა ბრძოლა ძველ აღთქმაში დაკავშირებული იყო კეთილ მიწასთან – იესო ნ. 1:2-6; 5:11–6:27.

II. იმისათვის, რომ გავიგოთ, რას ნიშნავს ისრაელიანების შესვლა ქანაანში და ომი ქანაანში, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ქანაანს აქვს ორმაგი მნიშვნელობა წინასახეების სისტემაში – კოლ. 1:12; ეფეს. 1:3; 2:2; 6:12:

ა. დადებითი მხრივ, ქანაანი, სიმდიდრის მიწა, არის წინასახე ყოვლისმომცველი ქრისტესი მის აურაცხელ სიმდიდრესთან ერთად – რჯლ. 8:7-10; კოლ. 1:12; ეფეს. 3:8:

1. კეთილი მიწა არის საბოლოო წინასახე ქრისტესი, რომელიც არის წერილებში – რჯლ. 8:7.
2. კეთილი მიწა, ქანაანის მიწა, არის წინასახე ქრისტესი, რომელიც არის ყველაფერი და ყველაფერში და რომელიც არის ყველაფერი ჩვენთვის – ეფეს. 3:8.
3. ბიბლიაში მიწა არის გამოსახულება, სიმბოლო, ქრისტესი – დაბ. 1:9; 2 პეტ. 3:5
   ა). მიწა, გამოსული სიკვდილის წყლებიდან მესამე დღეს დაბ. 1:9-10-სა და 13-ში, – არის წინასახე აღმდგარი ქრისტესი, რომელიც გამოვიდა სიკვდილიდან მესამე დღეს.
   ბ). ღმერთის განზრახვა, გახსნილი წერილებში, არის ის, რომ ქრისტე უნდა იყოს ჩვენი მიწა – რჯლ. 8:7-10.

ბ. უარყოფითი მხრივ, ქანაანი აღნიშნავს ჰაერის ნაწილს, ზეციურ ნაწილს, სატანის ბნელი სამეფოსი, ზეციურ საზღვრებს, რომლებიც სავსეა სატანური ძალებით – ეფეს. 2:2; 6:12:

1. სატანას აქვს თავისი ძალაუფლება და ჰყავს თავისი ანგელოზები, რომლებიც არიან მისი ქვეშევრდომები – ხელმწიფენი, ძალაუფლებანი და მმართველები ამ ამ ქვეყნიერების სიბნელისა; აქედან გამომდინარე, მას აქვს თავისი სამეფო, სიბნელის ძაუფლება – საქმე. 26:18; მათე 12:26; 25:41; ეფეს. 6:12; კოლ. 1:13.
2. ბოროტი ძალები დღევანდელ დღემდე აფარებენ საბურველს ქრისტეს ყოვლისმომცველობას ღმერთის ადამიანებისგან – 2:8, 18; 2 კორ. 4:4.
3. ეფესელთა მიმართ წერილში ნაჩვენებია, რომ ზეციურ საზღვრებში არის სხვადასხვა ფენა – 1:3; 2:2; 6:12:
   ა). ქრისტე იმყოფება უმაღლეს ფენაში, მესამე ცაში, რათა იყოს ყველაფერი ჩვენთვის როგორც ჩვენი კეთილი მიწა – რჯლ. 8:7-10.
   ბ). ზეციურ საზღვრებში არის უფრო დაბალი ფენა – ჰაერი, სადაც სატანა როგორც მმართველი ჰაერის ძალაუფლებისა ხელს უშლის ადამიანებს დედამიწაზე, რომ შეეხონ ღმერთს და მიიღონ ქრისტე; ამის წინასახე არის

ქანაანი, რომელიც ხელს უშლის ისრაელს, რომ შევიდნენ კეთილ მიწაზე – ეფეს. 2:2.

4. ქანაანელები არიან წინასახე დაცემული ანგელოზებისა, აჯანყებული ანგელოზებისა, რომლებიც მიჰყვებიან სატანას და რომლებიც გახდნენ ძალები, მმართველები და ძალაუფლებანი სატანის სამეფოში, სულიერი ძალები ბოროტისა ზეციურ საზღვრებში – გამოცხ. 12:4, 7; ეფეს. 6:12.

III. სხვადასხვა წარმართული ტომები, რომლებსაც დაკავებული ჰქონდათ მიწა, აღნიშნავენ ჩვენი ბუნებრივი სიცოცხლის სხვადასხვა ასპექტს:

ა. ღმერთები (კერპები) წარმართული ტომების (გამ. 23:24), რომლის უკანაც დგანან დემონები (შდრ. 1 კორ. 10:20), წარმოადგენენ ბოროტის სულიერ ძალებს (ეფეს. 6:12).

ბ. ჩვენი ბუნებრივი სიცოცხლის უკან დგანან ბოროტების ძალები (შდრ. მათე 16:23, შენ. 1), რომლებიც იყენებენ ჩვენი ბუნებრივი სიცოცხლის სხვადასხვა ასპექტს, მანიპულირებენ მისით და მიმართავენ მათ ისე, რომ ხელი შეგვიშალონ ჩვენ, მოვიპოვოთ ყოვლისმომცველი ქრისტე და დავტკბეთ მისი სიმდიდრეებით.

გ. ვინაიდან ბუნებრივი სიცოცხლე ხელს გვიშლის ჩვენ, მოვიპოვოთ ქრისტე და დავტკბეთ მისით, ჩვენ უნდა გვძულდეს ის (ლუკა 14:26) და ჩვენს ზრდასთან ერთად ქრისტეში ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, რომ განვდევნოთ ის.

დ. ღმერთი არ მოკვეთს ჩვენს ბუნებრივ სიცოცხლეს, რომელსაც აღნიშნავენ წარმართული ტომები, ყველას ერთდროულად, ვინაიდან ეს დაგვტოვებდა ჩვენ ცარიელს შინაგანად და ჩვენ დავექვემდებარებოდით იმის საშიშროებას, რომ ჩვენ დაგვიპყრობენ დემონები, რომლებსაც აღნიშნავენ მინდვრის ცხოველები – გამ. 23:29; შდრ. მათე 12:43-45:

1. ღმერთი გვაშორებს ჩვენს ბუნებრივ სიცოცხლეს თანდათან, ცოტა-ცოტათი, ჩვენს ზრდასთან ერთად ღვთაებრივ სიცოცხლეში – გამ. 23:30.
2. რაც უფრო მეტად გადიდდება ქრისტე ჩვენში, უფრო მეტად ის შეცვლის თავისით ჩვენს ბუნებრივ სიცოცხლეს.

ე. ღმერთი დაგვპირდა, რომ განდევნიდა წარმართულ ტომებს (მუხ. 29-30), მაგრამ ღმერთის ხალხს უნდა ეთანამშრომლა მასთან, გამოევლინა ინიციატივა იმაში, რომ, გაენადგურებინა ისინი – მუხ. 31-33; შდრ. რომ. 8:13; გალ. 5:34; კოლ. 3:5; ფილიპ. 2:12-13.

ვ. რაც უფრო მეტად ქრისტე გადიდდება ჩვენში, უფრო მეტად შევძლებთ ჩვენ, ვითანამშრომლოთ ღმერთთან ჩვენი ბუნებრივი სიცოცხლის განდევნაში.

IV. თუ ჩვენ გვინდა, დავეუფლოთ კეთილ მიწას ღმერთის ჩანაფიქრის შესასრულებლად, ჩვენ მონაწილეობა უნდა მივიღოთ სულიერ ომში, რათა გავიმარჯვოთ სატანურ ძალებზე – იესო ნ. 6:21:

ა. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ სულიერი ომის აუცილებლობა – ომისა სატანის სამეფოსა და ღმერთის სამეფოს შორის – მათე 6:10; 7:21; 12:26, 28; ესაია 14:12-14.

ბ. როდესაც ისრაელი მზად იყო, რომ დაუფლებოდა ქანაანის მიწას, ეს მიწა დასახლებული იყო დემონებით შეჰყრობილი ადამიანებით, კერპთაყვანისმცემლებით და ნეფილიმებით – რიცხ. 13:33.

გ. ვინაიდან ქანაანის მიწაზე ცხოვრობდნენ ნეფილიმები, ნაზავი დაცემული ანგელოზებისა და დაცემული ადამიანის, ღმერთმა უბრძანა ისრაელის შვილებს, დაუფლებოდნენ ამ მიწას და გაენადგურებინათ იქ ყველაფერი ცოცხალი, რათა ადამიანის მოდგმა გაწმენდილიყო – რჯლ. 7:1-2:

1. თანახმად ღვთაებრივი აზრისა, ტომები ქანაანის მიწაზე უნდა განადგურებულიყვნენ, რადგან ისინი იყვნენ ეშმაკისეულნი და შერეული დემონებთან – მუხ. 2; იესო ნ. 11:21-22; 14:6-14.
2. ქანანეველები აღნიშნავენ არა მარტო დაცემულ ანგელოზებს, არამედ ადამიანებსაც, რომლებიც შეერთებული არიან ბოროტ სულებთან, ჰაერში მყოფ სიბნელის სატანურ ძალებთან – რიცხ. 14:45.

დ. ყარადის (21:1), ამორეველთა (მუხ. 21) და ბაშანის (მუხ. 31) მეფეები იყვნენ „კარიბჭის დამცველები“ აღმოსავლეთით იორდანედან, და იცავდნენ სატანისათვის ქანაანის მიწას, სიბნელის სამეფოს:
1. მეფეები, დამარცხებულნი ღმერთის ჯარის მიერ, აღნიშნავენ სიბნელის მმართველებს, ძალაუფლებებსა და ქვეყნიერების-მმართველებს, რომელთა წინააღმდეგაც ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ – ეფეს. 6:12.
2. იმისათვის, რომ შესულიყვნენ კეთილ მიწაზე, ისრაელის შვილების უნდა გაევლოთ ის ტერიტორია, რომელიც მთლიანად იყო ამ მეფეების ძალაუფლების ქვეშ, და ებრძოლათ მათთან, გაენადგურებინათ ისინი და დაეკავებინათ მათი ტერიტორია.
3. იმისათვის, რომ მოვიპოვოთ აურაცხელი სიმდიდრე ქრისტესი, ჩვენ უნდა დავამარცხოთ სულიერი მტრები, რომელსაც აღნიშნავენ ყარადის მეფე, სიჰონი, ამორეველთა მეფე, და ყოგი, ბაშანის მეფე – 3:8; 6:10-12.

ე. ისრაელის ბრძოლა ამ მიწაზე მაცხოვრებლებთან გამოხატავს უხილავ სულიერ ომს, რომელიც მიმდინარეობს დედამიწაზე არსებული ხილული ვითარების მიღმა – დან. 10:10-21; ეფეს. 6:10-20:
1. ჩვენთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, დავინახოთ, რომ დაფარულად მიმდინარეობს სულიერი ბრძოლა, ბრძოლა, უხილავი ადამიანის თვალისთვის.
2. დედამიწაზე მიმდინარე ომთან ერთად მიმდინარეობს ომი ღმერთსა და ჰაერში მყოფ სატანურ ძალებს შორის – 2:2; 6:12.

ვ. ისრაელის შვილების ბრძოლა ქანანაველებთან კეთილი მიწის მოპოვებასა და მისთ ტკბობასთან დაკავშირებით არის წინასახე ეკლესიის სულიერი ომისა მთლიანობაში, და მოიცავს მის ყველა ასოს, „ზეციურ საზღვრებში მყოფი ბოროტების სულიერი ძალების“ (მუხ. 12) წინააღმდეგ, იმისათვის, რომ წმიდანები დატკბნენ ქრისტეთი როგორც ყოვლისმომცველი მიწით.

ზ. ქრისტე არის ჩვენი კეთილი მიწა, და ღმერთს უნდა, რომ ჩვენ მოვიპოვოთ ქრისტე, მაგრამ ჩვენსა და კეთილ მიწას შორის არის ფენა ეშმაკისეული, დემონური ძალების სახით; თუ ჩვენ გვინდა, მოვიპოვოთ კეთილი მიწა ჩვენი ტკბობისათვის, ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ ამ სატანურ ძალებზე – კოლ. 1:12-13; 2:115; ეფეს. 3:18; 6:11-12:
1. მიმდინარეობს ნამდვილი სულიერი ომი, რომელშიც ჩვენ უნდა მივიღოთ მონაწილეობა; ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, რათა მოვიპოვოთ ყოვლისმომცველი ქრისტე ეკლესიის როგორც ქრისტეს სხეულის, ახალი კაცის და ღმერთის სამეფოს ასაშენებლად – მუხ. 10-12; 1 ტიმ. 6:12ა; 2 ტიმ. 2:3-4; კოლ. 1:13, 18; 2:19; 3:10-11.
2. თუ ჩვენ გვინდა, რომ მოვიპოვოთ ქრისტე ჩვენი ტკბობისათვის, ჩვენ უნდა ვიყოთ ერთობლივი მეომარი, ეკლესია როგორც ქრისტეს სხეული, – ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ სატანური ძალების წინააღმდეგ და გავიმარჯვოთ მათზე, რათა ჩვენ შევძლოთ, მოპოვება მეტი ქრისტესი ქრისტეს სხეულის ასაშენებლად, დადგენა და გავრცელება ღმერთის სამეფოსი, რათა ქრისტემ შეძლოს

დაბრუნება და დაიმკვიდროს დედამიწა – ეფეს. 3:8; 4:16; მათე 24:14; გამოცხ. 11:15.